



საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო

ანგარიშის პერიოდი: 2016 წლის 29 თებერვალი - 2016 წლის 31 მაისი

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2016 წლის მარტი-მაისის
პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისათვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პორები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

ქსს-ს შემადგენლობის განახლება

საბჭოს 81-ე სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, განმეორებით გამოცხადდა საბჭოს შემადგენლობის განახლება შემდეგი პოზიციებისათვის: აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფი (სხვა); აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფი (MSM), ტბ სფეროში მოღვაწე ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და აივ-ით ინფიცირებული პირი. ქვეყნის საკოორინაციო საბჭოს ხელმძღვანელობამ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ქსს-ს წევრობის კანდიდატების ნომინირების თხოვნით. გეგმის მიხედვით, ქსს-ს 82-ე სხდომაზე მოხდა ახალი წევრების არჩევა.

საზედამხედველო საქმიანობა/ქსს-ს სხდომები

2016 წლის 7 მარტს, საზედამხედველო კომიტეტმა გამართა შეხვედრა ძირითად მიმღებთან, სადაც განხილულ იქნა აივ-ის და ტუბერკულოზის მე-7 პერიოდის დეშბორდები (2015 წლის 1 ოქტომბერი - 2015 წლის 31 დეკემბერი).

მე-7 პერიოდის დეშბორდები და რეკომენდაციები, საზედამხედველო კომიტეტის 2015 წლის დეკემბრის - 2016 წლის თებერვლის პერიოდის ანგარიში, გლობალური ფონდის გრანტების მიმდინარეობის სტატუსი წარდგენილ იქნა 2016 წლის 9 მარტს გამართულ ქსს-ს 82-ე სხდომაზე.

მიღებული ზომები: მე-7 პერიოდის აივ-გრანტის დეშბორდის მიერ გამოვლენილი ნარკოტიკის ინტრავენულ მომხმარებელთა შორის აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლის საკითხი მოექცა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. 2016 წლის 26 აპრილს, ძირითადი მიმღების ოფისში გაიმართა მობილური ამბულატორიების პრაქტიკის შეფასებისადმი მიძღვნილი შეხვედრა. შეხვედრაზე გაანალიზდა საპილოტე პერიოდი, მიღწევები და არსებული გამოწვევები. შეხვედრის ანგარიში მიეწოდა ქსს-ს. პირველი პერიოდის დეშბორდში დაფიქსირებული ინდიკატორის გადაჭარბებული შესრულება შესაძლია დაკავშირებული იყოს მობილური ამბულატორიების წარმატებული პრაქტიკის

დანერგვასთან. 2016 წლის მე-2 პერიოდის დემზორდი და 2016 წლის 6-თვიანი პერიოდის ჯამური შედეგები გამოავლენს მეტად სარწუნო მონაცემებს.

მეთვალყურეობის ქვეშ იყო MSM and FSW-ების აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლის საკითხი. ძირითადი მიმღების მიერ მოწოდებული თბილისის და რეგიონების მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები გაზიარდა ქსს-ს წევრებს შორის. მე-2 პერიოდის სემესტრული მიღწევები მოგვცემს დასახული მიზნის მიღწევის პროგრესის ზუსტი ანალიზის შესაძლებლობას. შემდგომ პერიოდში დაფიქსირებული FSW-ს მოცვის ინდიკატორის დაგეგმილზე მაღალი მაჩვენებელი შესაძლოა გამოწვეული იყოს რეგიონული გასვლითი აქტივობების გაზრდილი მოცვით.

IDA-ს მეშვეობით შექმნილი 1 მილილიტრიანი შპრიცების ხარისხთან დაკავშირებით მომხმარებლების უკმაყოფილების გამო ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ჩატარდა მინი-კვლევა/გამოკითხვა მომხმარებლებს შორის. კვლევის შედეგები მიეწოდა საზედამხედველო კომიტეტს და ქსს-ს.

ძირითადად მიმღებმა ჩაატარა კვარტალური პოსტ-სუპერვიზიის შეხვედრა ტბ მენეჯერებთან. განხილულ იქნა პროგრამული ინდიკატორის „პროცენტული მაჩვენებელი ლაბორატორიებისა რომლებმაც გაიარეს ნახველის მიკროსკოპიის გარე ხარისხის კონტროლი“ შესრულების საკითხი. შეხვედრის შედეგები წარედგინა საზედამხედველო კომიტეტს 2016 წლის 30 მაისს გამართულ შეხვედრაზე. მაჩვენებლის ზრდა მოსალოდნელია შემდეგი ანგარიშგების პერიოდისათვის.

აივ გრანტის პირველი პერიოდის (2016 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 მარტი) და ტბ გრანტის მე-8 პერიოდის (2016 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 მარტი) დემზორდების განხილვისადმი მიძღვნილი საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 30 მაისს. საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები წარედგინება ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის 15 ივნისს, ქსს-ს 83-ე სხდომაზე.

ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში გაიმართა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ერთი სხდომა (82-ე სხდომა, 2016 წლის 9 მარტი).

საზედამხედველო კომიტეტის განახლება

საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლებასთან დაკავშირებული მომდევნო ნაბიჯები და საპროცედურო ნორმები წარდგენილ იქნა და შეთანხმდა წევრებთან ქსს-ს 82-ე სხდომაზე. მოხდა კანდიდატების ნომინირება. დისკუსია/საზედამხედველო კომიტეტის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება იგეგმება 2016 წლის 15 ივნისის, ქსს-ს 83-2 სხდომაზე.

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ახალი წევრების საორიენტაციო შეხვედრა

2016 წლის 5 აპრილს გაიმართა ქსს-ს ახალი წევრები საორიენტაციო შეხვედრა. ახალ წევრებს წარედგინათ ქსს-ს ფუნქციონირების, მათ შორის საზედამხედველო კომპონენტის, ძირითადი ასპექტები და პრინციპები.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (პასკ)

ტუბერკულოზისა და აივ პროგრამების გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე შეუფერხებელი გადასვლის ხელშეწყობის მიზნით ქსს-მ ჩამოაყალიბა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის მანდატი მდგომარეობს ქსს-სათვის გარდამავალი პერიოდის გამოწვევების იდენტიფიცირებაში და მათი გადაწყვეტის პოტენციური გზების მოძიებაში რეკომენდაციების გაწევა. კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცდა საბჭოს 82-ე სხდომაზე. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორცაა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, საერთაშორისო პარტნიორები, ძირითადი დაზარალებული ჯგუფები, პაციენტები, ტუბერკულოზსა და აივ-ის სფეროში მოღვაწე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. კომიტეტი

ჩაერთვება ტუბერკულოზისა და აივ-ის პრევენციის და სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის, რეგულაციების, ოპერაციული პოლიტიკის და პრაქტიკის სტანდარტების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ადვოკატირების ღონისძიებებში. კომიტეტის მთავარი ფუნქციაა მდგრადობის გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვა, რომლის მიზანია დონორული რესურსის ამოწურვის პირობებში ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ხარისხიან აივ-ტესტირებაზე, პრევენციაზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გეგმამ უნდა განსაზღვროს ამჟამად გლობალური ფონდის მიერ მხარდაჭერილი აქტივობების სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის ჩარჩო, რაც სხვა ასპექტებთან ერთად მოიცავს ტუბერკულოზისა და აივ-შიდსის პროგრამების სახელმწიფო დაფინანსებაზე ეფექტური გადასვლისათვის აუცილებელ ნორმატიულ ცვლილებებსაც. კომიტეტს ეკისრება ტექნიკური და საკონსულტაციო როლი და იგი არ წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს. კომიტეტის მიერ განხილული კონკრეტული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები მათი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. კომიტეტი შეუდგა საქმიანობის განხორციელებას და ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში გაიმართა კომიტეტის ორი შეხვედრა (2016 წლის 20 აპრილი და 2016 წლის 16 მაისი). მოცემულ ეტაპზე, საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ შემუშავებული გარდამავალი/მდგრადობის გეგმის პირველი მონახაზი გამხილულ იქნა კომიტეტის მიერ და წარედგინება საბჭოს 2016 წლის 15 ივნისს დაგეგმილ სხდომაზე.

ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს ინტეგრირების კვლევა

2016 წლის 7-10 მაისს Euro Health Group-მა განახარციელა საქართველოში ქსს-ს ინტეგრირების კვლევა. კვლევა დაფინანსებულია გლობალური ფონდის და GIZ BACKUP Initiative-ის მიერ და ჩატარდა ხუთ ქვეყანაში. 2016 წლის 17 მაისს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე წარდგენილ და განხილულ იქნა კვლევითი გუნდის

მიგნებები და ქსს-ს შემდგომი განვითარების შესაძლო ვარიანტები. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ქსს-ს განვითარების გზამკვლევის და საჭირო ტექნიკური დახმარების შესახებ.

შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის გრანტები

დაფინანსების ახალი მოდელის GEO-H-NCDC გრანტი დამტკიცდა გლობალური ფონდის გამგეობის მიერ. ტუბერკულოზის საგრანტო მზადების პროცესი მიმდინარეობს.

2016 წლის 10 ივნისი

ანგარიში მომზადებულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ